ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6297061

ნომერი: AR1939971

თარიღი : 19.12.2022

გაცემის თარიღი : 24.01.2023

გაცნობის თარიღი : 25.01.2023

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ტაბახმელა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ზაგაშვილი პ/ნ 01008024106
- თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 25 კორ. 6 ბ. 134

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: №628
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 25.11.2022

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ალექსანდრე ზაგაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "იორკ თაუნ "
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405488486
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ამრ გამალ აბდელათი აბდელგანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01391025956

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 470.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 485.1
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 448.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 58.3
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 39.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 2139.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1944.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 195.4
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 10.35
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 9.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.35
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ-1=159,5 ; კ-1=159,5/470=0.3 ; კ-1=0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ-2=446.2 ; კ-2=446.2/470=0.94 ; კ-2=0.9
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ-3=307,5 ; კ-3=307,5/470=0.65 კ-3=0.6
- .სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ): 350.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 5066517 - 02/08/2021 , № 5066458 - 14/08/2020
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 8.02.2021

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5084930 - 02/09/2020 ; № 5094311 - 11/09/2020
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 2.09.2020

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

ვინაიდან შეცვლილი საპროექტო შენობის ფუნქციური დანიშნულება და ხდება ინდივიდუალური საცხოვრებელი

სახლის ნაცვლად სასტუმროს მშენებლობა, საჭიროა საკითხი დააყენოთ > ახალი მშენებლობით. ვინაიდან აღნიშნულ განცხადებაზე სარგებლობდით დაჩქარებული მომსახურეობით შეგიძლიათ აღნიშნული თანხა გამოიყენოთ ახალ განცხადებაზე.
1.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის №: 13-0122356795 წერილით, არქიტექტურის სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ საპროექტო ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით. აქედან გამომდინარე და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჭიროა, წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და განაახლოთ არსებული ფოტოსურათები დღევანდელი მდგომარეობით.
2.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: წარმოსადგენია ტოპოგრაფიული გეგმა დამოწმებული უფლებამოსილი პირის მიერ რეალური ხელმოწერილი და ბეჭდით დასკანირებული სახით; წარმოდგენილი ტოპო არ განეკუთვნება საპროექტო არეალს.
3.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოდგენილ იქნეს უახლესი მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები გადაღების თარიღის დაფიქსირებით (ამ ეტაპზე ყველა შემოსულ განაცხადზე ერთიდაიგივე ფოტომასალაა ატვირთული).
4.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: წარმოდგენილ იქნას - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ - ტექნიკური რეგლამენტთან შესაბამისობის დასკვნა და შესაბამისად მომზადებული გრაფიკული დოკუმენტაცია.
5.კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : საპროექტო ფოტომონტაჟზე დაიტანეთ სიმაღლის ნიშნულები, გაბარიტული ზომები და სამშენებლო მასალები.
6.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : წარმოდგენილი ვექტორული ფაილი ხარვეზის შემცველია წარმოადგინეთ განახლებული, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, ახალი გარემოებების გათვალისწინებით, ხარვეზების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია გეცნობებათ დამატებით.
7."მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-81 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში. კერძოდ აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-5 პუნქტის თანახმად მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 4 (ოთხი) ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – 5 (ხუთი) ლარს. ასევე იმ შემთხვევაში თუ ძირითად შენობასთან ერთად, შენდება ისეთი შენობა-ნაგებობა, რომელსაც არ აქვს კ-2-ის საანგარიშო ფართობი (არ შედის კ2-ში), გადასახდელი მოსაკრებელი დამატებით შეადგენს (II კლასის ობიექტისთვის) 50 ლარს;
8.საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი (გამწვანების პროექტი - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

1. კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
2. გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);
3. გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
4. გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
5. გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;
6. საინფორმაციო დაფასა და რენდერს (არსებული მწვანე ნარგავების რაოდენობების, სახეობების მითითებით), რომელიც ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით.

9.წარმოდგენილ იქნას საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების (ელგაყვანილობის, გაზმომარაგების, გათბობა-ვენტილაციის, წყალმომარაგების და წყალარინების) სქემები, მათი დეტალური ნახაზები და სპეციფიკაციები;
ა) მიწის ნაკვეთის გეგმა, კვლევის ჩატარების წერტილების ჩვენებით;
ბ) მიწის ნაკვეთის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და სპეციფიკაცია;
გ) დასკვნა ან/და რეკომენდაციები მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებისთვის.
10.წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან.

საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის №255 (31.05.2019) დადგენილების 19-ე მუხლის N3 პუნქტის შესაბამისად მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე საინფორმაციო დაფა უნდა მოიცავდეს:

- მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
- მიწის ნაკვეთის მისამართს;
- მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
- მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს
- განაცხადის განხილვის ვადებს;
- შენობა-ნაგებობის დაზუსტებულ სართულიანობას ან/და გაბარიტებს.
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან განაშენიანების დეტალური გეგმის რეკვიზიტებს,

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

11.კონსტრუქციული პროექტი არ არის შესაბამისობაში არქიტექტურასთან ნიშნულები. დამატებით წარმოსადგენია კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასება.

12.წარმოდგენილი მინდობილობა ვადაგასულია, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი ვადაში მყოფი მინდობილობა.

13.გეოლოგია: პროექტი წარმოადგენს 2 სართულიან + მანსარდი სასტუმროს. წარმოდგენილ გეოლოგიურ დოკუმენტებში კი, არ არის მითითებული შენობის სართულიანობა, რითაც განსხვავდება სხვა დოკუმენტებში მოცემულისგან, შესაბამისად წარმდოგენილი უნდა იქნას განახლებული დოკუმენტები (კვლევა და ექსპერტიზა) სხვა დოკუმენტების შესაბამისი სართულინობის (მანსარდის სართულის) მითითებით. განმარტებითი ბარათის თანახმად, კორექტირებული გრგ-ს მიხედვით გაერთიანდა მიწის ნაკვეთები : 81.02.27.129 და 81.02.27.107 და გახდა ერთიანი ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 01.81.02.258.003. კვლევაში ჩამოთვლილ საკადასტრო კოდებში არ ფიგურირებს ზემოთ აღნიშნული კოდები. ამასთან საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით ძველი საკადასტრო კოდია 01.81.02.258.001; ხოლო კონსტრუქციულ ნახაზში მითითებულია - 01.81.02.258.004. ადგილი აქვს გარკვეულ შეუსაბამობებს. კვლევას აკლია ინჟინერ გეოლოგის ხელმოწერა და ბეჭედი, ტოპოგეგმას აკლია საკადასტრო კოდი. ამასთან წარმოდგენილია 2 ს/გეოლოგიური კვლევა, რომელთაგან მეორე ეხება სავარაუდოდ სხვა საკვლევ უბანს (არც საკადასტრო კოდია მოცემული, არც ნაკვეთის ნომრები). შედეგად ზოგადად გაურკვეველია რომელი კვლევაა მისაღები. კვლევას აკლია საექსპერტო დასკვნა. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნას კორექტირებული და განახლებული დოკუმენტაცია შენიშვნების გათვალისწინებით.

14.წარმოდგენილ იქნას საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების (ელგაყვანილობის, გაზმომარაგების, გათბობა-ვენტილაციის, წყალმომარაგების და წყალარინების) სქემები, მათი დეტალური ნახაზები და სპეციფიკაციები;

ა) მიწის ნაკვეთის გეგმა, კვლევის ჩატარების წერტილების ჩვენებით;

ბ) მიწის ნაკვეთის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და სპეციფიკაცია;

გ) დასკვნა ან/და რეკომენდაციები მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებისთვის.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.